



ხელის მოწერა და დასაბუთი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციაში და კანტორაში ყოველდღე კვირა უწყვეტად გარდა... 7-მდე.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10კ., სამელო-ვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 4 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე) ელბრება 5 მანეთი.

„საქართველოს“ კანტორისაგან გაზეთი „საქართველოს“ 1 ოქტომბრიდან წლის დამლევაზე ღირს 2 მ.—70 კ. მოვალეობით იმ ხელის მოწერით, ვისაც ხვედრი ფული არ აქვს გადახდილი გაზეთის გზავნა შეუწყრდება.

თბილისის სამეურნეო ბანკის საგანგებო საზოგადოება კრება, რომელიც არ შესდგა 25 სექტემბერს 1915 წელს წვერთა კანონიერი რიცხვის დაუსრულებლობის გამო, დანიშნულია კვირას, 11 ოქტომბერს, დილის 11 საათზედ „ახალი კლუბის“ დარბაზში.

სახალხო უნივერსიტეტთან არსებული ქართული სექცია ამ თვის 12-დან ნახალ-დეგში ჩერკეზიშვილის ქუჩა, № 100) მოზრდილთათვის ჰსნის

ამერიკული ვაზი თ. დ. ჩოლოყაშვილის ქუარის მამულში, კახეთში, სიღნაღის მაზრაში, გაშენებულ სანერგეში იყიდება სხვა და სხვა ჯიშის ამერიკული ვაზის რქა და სამყენებელ მომზადებული იმევე ვაზის ფესვიანი ძირები; აქვე იყიდება გარეული კომ-პის ნერგი სამყნობად.

მომხმარებელი საზოგადოება „მეურნის“ გამგეობა ამით აცხადებს, რომ ხსენებულ საზოგადოებაში წევრად ჩაწერა სხვათა შორის შეიძლება სამეურნეო ბანკში გ. კანდელაკისთან, წერა-კითხვის საზოგადოებაში ვანო აგალიშვილთან, ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში მაქო ბილანიშვილთან და „საქართველოს“, „თანამედროვე აზრის“, „სახალხო ფურცლის“ და „ახალი კლუბის“ კანტორებში. საზოგადოებაში ჩასაწერი გადა-სახალია ერთი მანეთი, ხოლო თითო პაი ღირს 10 მანეთი. საპაიო ფულის გადახ-და ნაწილ-ნაწილად შეიძლება.

გადაწერას საწერ მანაინს საზოგადოებრივ და საწერ განაჯანაჟ მუშაობის სწავლავას ხელმისაწვდომ ფასებში ჰკისრულობს ი. თ. გვათუას კანტორა ვერის დადართი № 1 ტელეფონი 17-05

გაგულაიშვილი (ხოლმეხისა) განახალა ავადმყოფების მიღება დილის 9-3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა. ოლღას ქუჩა, № 22.

გ. მ. მუხაკა იღებს საღმრთაო ავადმყოფთ საღამოს 5-6 საათ. მისამართი: ტატიანის ქუჩა, მიხეილის ქუჩის ახლო, სახლი 6. ზემა სართული. ტელეფონი № 3-92.

გ. დ. წინაგაგაძის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლი-ნიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს შინაგან სნეულებიან ავადყოფებს: გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. საღამოს 5-7 საათამდე, მიხეილის ქუჩა № 36, მეორე სართული.

გილუული, მადნეული და სამაზრადლო წყლის ქარხნები მ. ე. ლალიძე და ავს. თბილისში, გოლოგინის პრ. № 6. ქუთაისში, პუშკინის ქ. № 5. ხილუული წყლის მხმარებელი საზოგადოების განმრთელობის ინტერესი მოითხოვს: სვან ყოველთვის მხოლოდ და მარტო მატროფანე ლალიძის და ამხანაგობის ქარხნის ხაუკეთესო ხილუულ მადნეულის სამკურნალო წყალი. მხოლოდ ლალიძის წყალი მზადდება უმაღლესი ღირსების ბუ-ნებრივი მასალებისაგან, განსაკუთრებული წესით ნაღული და გამოხდილი წყლით. გაუფრთხილდით ყალბ მიმზადებულებს, რომელთა რიცხვი მეტად გამრავლდა, მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი ლალიძის წყალი, გემო და სუნის საამური აქვს და განმრთელობისთვის სრულიად უწყვეტელია.

გამოცდილი მასწავლებელი ქალი ხელმისაწვდომ ფასად ამჟამად ქალ-ვაჟთა გიმნაზიებისა და საკო-მერციო, რეალ და საქალაქო სასწავლებლებისათვის, აგრეთვე თბი-ლისის ქართულ ვაჟთა და ქალთა გიმნაზიებისათვის. შეიძლება ოჯახ-შიც მიწვევა. მისამართი: კიპჩინის შესახვევი, № 12. ოთახი კალანდაძისა. ნახვა შეიძლება ყოველ-დღე.

ვკისრულობთ გადამავაძით, ვაგფინდოთ და ახლათ ვმდგომოთ საქალაქო და საზოგადოებრივ საპეციალურად ვმდგომოთ საზოგადოებრივ „კოშალოკას“ და „სილინდრას“. ავკითხეთ ვმდგომოთ პლიუზს, ხავარდს, და ვაყენებთ ვინაღს. ვა სუხუხუხუხუ და ვმდგომოთ სირაპამას ვრთას და გოას. ქულების სახელოსნო დ. გ. ვავაჩიასი გოლოგინის პრ. № 39.

ახლად დააკანა ული საამანავო ვკვილის საწერში „რ ა ზ ა“ ჰყიდის მეტრებზე და კერძო პირებზე ფქელს ხელმისაწვდომ ფასებში. ჩერქეზი-შვილის ქუჩა № 3.

პროვინციულ აგენტების საყურადღებოდ აცხადებს გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია, რომ პირველ ოქ-ტომბრიდან გაზეთი „საქართველოს“ გადაეცემა კანტორა „განათლებას“. თუ, რო-მელიმ აგენტს, რამდენი სტრიქონი ხსენებულ გაზეთში, დაუყოვნებლივ აცნო-ბოს კანტორა „განათლებას“.

თეატრის გარეშე ცხოვრების კალო იღეწება. ქართველი თვის ინტენსივობას იჩენს, რომ გასაჭირს თავი დახაწოვს. ყოველ დარგში ასე თუ ისე, სიანს „საქმიანობა“. არის მხოლოდ ჩვენი ცხოვრების ერთი დარგი საესებით მივდებულ და მივიწყებული: ეს გახლავთ ქართული სახეობა, ქართული თეატრი. ამ საკითხის გარეშე მხოლოდ სიტყვი-ერ კორიანტელში იხატება, ისიც გაზე-თის ფურცლებზე პოლემიკურ კინიანობის მოსაკვლელად. სხვაფერე არავითარი წარმატება. გვახსოვს, ამ ახლო წარ-სულში ახალ-კლუბისა და ქართულ დრა-მატიულ საზოგადოების შუა გამართული კინოლობა. რა გაკეთდა? არაფერი. მტკიცებით ის დამტკიცდა, რომ ჩვენი საქმიანობა გამოიხატება სიტყვიებით, სიტყვიებით, მხოლოდ სიტყვიებით! დრა-მატიული საზოგადოება კლუბს მოვალე-ჰბიდა ახალი თეატრი ავგო, უსაყვედრ-რებდა, რატომ პირდაპირ არ მომართე, როდესაც თეატრის ნანგრევებზე საკონ-ცერტო დარბაზის აგება მოიწინაინეთო.

კლუბში და განაპირა სახალხო თეატ-რებში სუბუქ და ვულგარ შინაარსიან პიესებში თამაშით მათ ვუფუქებთ გემო-ვნებას, უნარს მშვენიერების შესაგნებად, უნარს მსახიობობისა! გავკანდიერდებით და ვიტყვით საქვეყნოდ, გვინახავს პირ-ველ ხარისხოვანი ჩვენი მსახიობნი უფრო ჯამბაზის როლის აღმსრულებლად გა-მოსულნი, ვიდრე თავის ღირსებისა და ხელობის შესაფერ როლის მოთამაშენი. სამწუხაროა, სავალალოა ეს, მაგრამ ფა-ქტია, მწარე სინამდვილე, რატომ და იმიტომ, რომ ისინი ძალა-უნებურად ახურდავენ თავიანთ ნიქს, თავიანთ უნარს, მასას ღირსნი უნდა რომ გაიცი-ნოს. ნაზი და ხელოვნური თამაშით გრძნობას ვერ აუფუნდრუკებ, თუ ტლა-ნქი კეცით არ ანაპერწყლებ მათ. და თუ ასე არ მოიქცევიან, მაშინ არც აქ ექნებათ ვასავალი და შიმშილით დი-ხოცებიან. იშვიათად, რომ ასეთი მწარე ბედი ჰხდენოდეს ვინმეს. ჩვენი მსახიო-ბნი სრულიად მოსწყენდნენ ჩვენს ცხოვ-რებას, ჩვენს საზოგადოებას. უთავშესა-ფაროდ, ყველასგან მოძულეულნი დამ-რწინად და ნურც ვაგვიკვირდება, თუ ასე გარიყულნი გაილაშქრებენ არა თუ თა-ვიანთ მოწოდების ღმერთის წინააღმდეგ, არამედ თავიანთ თავის საწინააღმდეგო-დაც და იმ ტალღას ვაჰყვებიან უფსკ-რულში ჩასაყრელად, რომელიც მოასწ-რებს და უღმობელოდ უბეში ვაჰყვებს. მზრუნველობა, მზრუნველობა და საქმიან-ობა, ბნებო, თუ არა და მოსპეთ, სა-ხელს ნულარ ატარებთ, რომ თქვენ დრა-მატიულ საზოგადოების გამგენი ხართ! მაგრამ დამშეულ მსახიობთ ეს ვერ დააბუქებს და ჩვენი საზოგადოებაც მარ-ტო აღთქმებით ვერ ისულდგმულებს. მამ რა უნდა ვილონოთ? როგორ დავახ-წიოთ ამ მდგომარეობას თავი?—ამაზე შემდეგ ვისაუბრებთ.

პაპათის რკინის გზა გულდაწყვეტით გვიხდება ლაპარაკი იმ კახეთის რკინის გზაზე, რომლის-თვისაც ისე თავგამებებით ვიბრძოდით ერთ დროს და ვალევედით ჩვენს დრო-სა და ენერჯის. მაგრამ მაინც იმედს არა ვკარგავდით, რომ საბოლოოდ მასაც გამოუწინებდა მოსიყვარულე პა-ტრონი, როგორც ყველა ჩვენ საქ-მეს უნდა და თანდათან. კახეთის რკინის გზაზედ თითქო ვილაის უცნაუ-რი ხელი მოქმედებდა—ყველაფერი ამ-სურდამდე მიყვანილი. სადგური არც ერთი არ არის იქ, საცა ხალხია დასა-დგურებული: ზოგი უღაბნო ადგილი არის, ზოგი ორმოშია ჩასმული, ზოგი კლდეზედ შესკუბებული. არც ერთი მათ-განი არ არის დაახლოებული და დასა-მხარისად მოწყობილი სოფლებისათვის და უცნაურ ახსნას გაიგონებთ „სპეცია-ლისტებისა“ და მათ მეგობრებისაგან: „თანდათან ეგ ნაკლი გამოსწორდება“. ვერ წარმოგვიდგენია რას მოასწავებს ეს „თანდათან“, ან რატომ უნდა „გამო-სწორდეს“ ის, რაც თავიდანვე მიხან შეუწონილად უნდა ყოფილიყო ავადმყოფი. ბნნი „სპეციალისტები“ ასეთ უცნაურო-ბასაც კი ამბობენ თურმე: „სხვა ადგი-ლებზე სადგურები არ გაკეთდებოდა, რად-გან ნიადაგი მეტად დაქანებულია და მატარებლები ვერ შეჩერდებოდაო“—ეს კი რალც ნამეტანი „სასპეციალისტო“ უნ-და იყოს, რასაც ჩვეულებრივ გონება და ლოგიკა ვერ მიხვდება, რადგან ვისაც არა ერთხელ დაუთვლიერებია ეს გზა—გაიკვირებს ასეთ მიზეზ-მიზეზობას, რომ-ლის ძალით დოსაც მარტივი დააკლდება ხოლმე. კახელები, გარეკახეთისანი თუ სივითისანი, ყველანი ჩივიან: ამ გზას ვისთვის აკეთებდნენ არ ვიცითო, თით-ქო ვანგებ დააშორეს საზიდ საქონელ-საც და ხალხსაცაო. მაგრამ ეს კიდევ არაფერი, ეს კიდევ

„გამოსწორდება“—მიყვინდოთ, სპეციალი-
სტებს—მაგრამ რა ეშველება „ჩალა-
უბანს“—ეს ხომ კახეთის რკინის გზის
დამოკლებს მახვილი იქნება მუდამ; „ჩა-
ლაუბანის“ გრებილი იქნება მექანიკის
ფეროული აპარატის იყოს, იქნება ტეხ-
ნიკის განსაკუთრებულ ნიმუშსაც წარ-
მოადგენდეს, მაგრამ ნამუქი არა ეტ-
ყოფა რა არც ნამდვილი მიზანშეწონილი
ტექნიკისა და არც ეკონომიისა. რთ
ხელმძღვანელობდნენ ინჟინრები, როდეს-
საც ისედაც ბუნებრივად ნაყარ გორებსა
და უფსკრულებში ათუკეცდნენ ამ „ნა-
ყრობას“, თუ ითქმის ასე, და ლიანდაგს
აგებდნენ ნაყარ მიწით ამოვსებულ უფს-
კრულებში, ან მკურავ ტალახთან გო-
რების ძირში? რასაკვირველია, გასამარ-
თლებელი საბუთი ბევრი შეიძლება: კვა-
ლი ესე იყო დადებული და ჩვენ რა
გვექნათ (თუმცა თვით კვალიც ზეციდან
არ ჩამოვარდნილა, არამედ სპეციალის-
ტებმა მოიგონეს); მიწის გულში ხომ არ
ვისხედით, რომ ასეთი ფხვიერი და უნი-
ადაკო კონკლომენტი აღმოჩნდებოდა
და სხ. და სხ. მაგრამ ადამიანის ხელი-
ვნება და ნიჭი სწორედ იმაშია, რომ ჩე-
ნების ნაკლებიგანებანი შეავსოს ასეთ
განსაკუთრ. „სპეციალისტებს“ კი თითქო
ვანდაც ეს კვალ (ტრასსა) გაუჭკველ-
ბათ; ბუნებრივი სიფხვიერი კი არ მიუ-
ღიან მხედველობაში, პირდაპირ დაუ-
ლჯით და გაცილებით მეტად შეუ-
ყვით ხელი ამ დაუდგრობისათვის.
პირდაპირ გასაოცარია, რითი ხელმძღ-
ვანელობდნენ, როცა ნაყარ გორასა
სკრიდნენ და ციკაბო კედლებით ამარ-
თავდნენ ლიანდაგს აქეთ და იქით.
მიწა თავისთავად ჩამოდის და ყოველმა
წვიმამაც უნდა ჩამორეკოს, ჩამოაგ-
როს და გზის უშუქებოდეს, რასაც გე-
დავთ კიდევ ყოველ წვიმის შემდეგ.
ბუნებრივი მკურავი მიწები იმის მაგიერ
რომ გაემაგრებინათ, ძირ გამოთხროლი
დაუტოვებიათ და ისინიც წამდარულნი
მისტურად და ლიანდაგს დააწყობებინ
ხოლმე. მეორე მხარეზე, ნაყარი მიწით
ამოვსებული უფსკრულები პირდაღმუ-
ლნი უციდან მატარებლის გადავარდნას,
რადგან ქვეშ ყველანაშ უთუოდ წყალი
უდის და ამ ნაყარ მიწას ლეგს და აღ-
ნობს, ჩააქვს ძირსა და ძირსა. ამის ნა-
ყოფსაც გედავთ გაზაზედა, რომელიც

მატარებელს ისე დაქნეს ხოლმე, თი-
თქო ძირიდან ლეგდებით ეწოდნენ.
ჩვენ აღარ ვიტყვით იმაზედ, რომ მთე-
ლი ლიანდაგი როგორღაც უსუსვარულიოდ,
ზეზეურად არის გაკეთებული, „თავიდან
მისაშორებლად“ და არსად არა სჩანს
ის დარბაისლური სიმკვიდრე, რომელიც
უნდა ახსიათებდეს ყველა რკინის გზა-
სა. ჩვენ არ ვიცით ყველა ეს ვისი ბრა-
ლია, ჩვენ არ ვიცით ვინ იყო მოვალე
ეზრუნა გზის საფუძვლიანობაზედ—მაგ-
რამ ნათლად სჩანს, რომ მზრუნველი
არა ჰყოლია და ესაა, თუმცა ნავიანი-
ვია, უნდა უშუქველად გამოეჩინდეს, თუ
საბოლოოდ არა ვგულის ამ გზის უნა-
ყოფოდ ვაროყვა.
ბევრი სხვა წვრილმანი ახლავს კახე-
თის რკინის გზას, რომელიც ხელს უშე-
ლის მის პოპულარობას და ხალხისაგან
სიყვარულის მოპოებას, როგორც მთე-
ლითად უმაგალითოდ და უაზროდ დგომა
1—2 საათის განმავლობაში ნავთლუდის
სადგურზედ, ვიდრე ქალაქში შემოუშე-
გენ, მისასვლელი გზების უქონლობა სო-
ფლებიდან, ურმის მაგვარი მძიმე სიარუ-
ლი და სხ. ამისთანები—მაგრამ ყვე-
ლა ეს იმედია გამოსწორდება ოდეს-
მე და კვლავაც შეგვეძლება მოვა-
გონოთ გზის პატრონებს: უბატონ-
ნოდ ნუ სტოვებთ ამ დიდს და დიდნი-
შენელოვან გზასაც და მის წვრილმანე-
საც. საუბედროდ უნდა ვიფიქროთ,
რომ ჯერჯერობით ჩვენს საზოგადოებას
შეგნებულნი არა აქვს საცხები თუ რა
დიდი ეკონომიური ბორბალი ჩავვივარდა
ხელში ცხოვრებისა, თუ რა დიდი მნიშე-
ნილობის მოვლენაა ჩვენისთანა პატარა
ერისთავის საკუთარი რკინის გზის შეშე-
ნა, თორემ მეტის უყრადღებობით მოე-
პყრობოდით ამ საქმეს და მეტის სისას-
ტიკით მოვითხოვდით გზის გამგებებისა-
გან—მეტი სიფრთხილე, მეტი სიყვარუ-
ლი, ბატონობა, რომ დიდმა საქმე დი-
დი შედეგები მოგვტანოს და არა პირი
გვიყოს უფსკრულისკენ. ქართველმა სა-
ზოგადოებამ დიდი ვალი იკისრა ერის
წინაშე და კიდევ უნდა გაანადგოს დი-
დის სარგებლობა.
თავად-წაწერილი პირველი მოვალე
ამ შეთხვევაში და პირველმაც უნდა
დაუქიროს სადავე ამ „ორპირ“ საქმეს.
რ. გ.

ო მ ი ს ა მ გ ე ბ ი

ქართლ-გაერთიანება

გერმანიის მუქარა.
გერმანიის მთავრობამ საბერძნეთი-
სას შეთვალა: თუ ბულგარეთს თავს
დაესხმები ამის მიზეზად ჩავთვლი და
ო მს გამოვიცხადებო.

ბულგარები სერბთა ქალაქს კრაგუევს
ყუმბარებს უშენენ, რომელიც ნახევრად
შუკვი განადგურებულ-დანგრეულია.
მოკავშირეთა საბერძნეთის ემუქრება.
თუ ვინიცოცხლა ზაიმისის პასუხი მიმარ-
თული სერბეთისადმი მოკავშირეთათვის
სასურველი არ გამოდგა, მაშინ ეფირო-
ბენ ძალით აიძულონ საბერძნეთი, რათა
ამ უკანასკნელმა ყურად იღოს და მოი-
სმინოს მეგობრული წინადადება.

სერბები ამბობენ: ჩვენ წინააღმდეგ
თორმეტი დივიზია იბრძვის, ოთხი აეს-
ტრირებისა და 8 გერმანელისაო.

ბულგარების გალაშქრება სერბე-
ბის წინააღმდეგ და მათი თავდასხმა
კლასინის რაიონში გერმანელების ქალაქ
ბერლინში დიდ აღტაცებას იწვევს, რო-
გორი ზარალიც არ უნდა მოუვიდეთ
ბულგარებს, სერბები მაინც გასრული
იქნებიანო. ბულგარეთი მიიღებს მკველ-
ინას და ჩვენ კი კონსტანტინოპოლში
შევიტრებითო. აღმოსავლეთის და და-
სავლეთის ბრძოლის ამ ვამად აღარავი-
თარი მნიშვნელობა აღარ აქვს, ომის
ბედი ეხლა ბალკანეთზე სწყდებაო.

ნიშნის სერბილები მეტად ცუდ გუნე-
ბაზე ყოფილან, რადაც საზარელს მოე-
ლიან. თავაჩინდრულნი და დაღერე-
მილნი დაიარებან. ერთმანეთს აღარც
კი ელაპარაკებან, რადგან იციან თუ
რა საშინელ პასუხს მიიღებენ.

„გებნი“ ბულგართა ნაპირების დასაცავად.

კონსტანტინიდან იუწყებიან, 2 ოქტომ-
ბერს იქ გამოჩნდა „გებნი“, რომელსაც
მინდობილი აქვს მოკავშირეებისგან მო-
სალოდნელ ოპერაციის დროს ბულგარე-
თის სანაპიროების დაცვა.

ვარნაში გერმანელებმა მოაწყეს წყალ
ქვეშა ნავების საკეთილელი ქარხანა. იქვე
ჩავიდა ოსმალთა ჯარის ერთი ნაწილი,
რ. გ.

სამაჰმადიანო საქართველო

ძნელად თუ მოიპოვება ისეთი ქართ-
ველი, რომელსაც დღეს ენაზე „სამაჰმა-
დიანო საქართველო“ ან მისი რომელიმე
ნაწილის სახელი არ ეყოს. ყველამ
მამადად ქართველთა ხსენება. მაგრამ,
უეჭველია, ძლიერ ცოტა მოიპოვება
ისეთი ქართველი, რომელსაც ჯეროვან-
ნად გათვალისწინებული ჰქონდეს, თუ
რას წარმოადგენდა ძველად საქართვე-
ლოს ის ნაწილი, რომელსაც დღეს „სა-
მაჰმადიანო საქართველო“ ეწოდება, რა
ადგილი ეჭირა მას მკვიდრს ქართველო-
ბას ჩვენი ერის განვლილის მრავალსა-
კუნოვან ცხოვრებაში ან რა ფაქტორე-
ბმა მიეყვანა ეს ქვეყანა იმ დევნარეო-
ბამდე, რომელშიაც ეხლა იმყოფება.
ჩვეულებრივ აქ ჩამოთვლილ კითხვე-
ზე ასეთს შაბლონურ პასუხს იძლევიან:
ეხლანდელი „სამაჰმადიანო საქართველო“
—ეს ძველი მესხეთია; მესხეთი კიდევ
ხომ დაგვსხენებათ, შოთა რუსთაველის
სამშობლო იყო; ხოლო დედა ეს დი-
დებული მხარე იმის გამო, რომ ძლიერ-
მა მეზობელმა აქ ძალით მამადადობა
გაავრცელა და ქრისტიანობა მოსპობ;
ამის თან მოჰყვა მკვიდრი ქართველობის
ენითაც გადაგვარება ის ზომამდე, რომ
ამ კუთხის ყველა პროვინცია და ყველა
მკვიდრი თუ არა, მათი უდიდესი ქარ-
თველობისათვის, და... შედეგ ხომ მო-
გვსხენებათ, როგორი პრაქტიკული დას-
კვნებიც გამოიყვანეს აქედან ზოგიერთ-
მა „შორსმხერტელმა“ პოლიტიკოსებმა,
როდესაც კითხვა საქართველოს ტერი-
ტორიალურ განსაზღვრას შეეხო?
მაგრამ დავანებოთ თავი იმ ახალმო-
დის „გამომხვევლებს“! დეე, თავის კაბი-
ნეტებში, რამდენიც ენებოთ, იმდენი
უქრან და უთავაზონ მიდავადებულს
მეზობლებს,—ცხოვრება და ისტორია
მაინც თავისას გაიტანს, რადგან, რო-
გორც მოგვსხენებათ, ისტორიის ნახტო-
მები არა სწამს და ჩვენც სწორედ ამ
ისტორიის მიუღებლად: ის უფრო
მეტს გვასწავლის, ვინემ ახალმოდის კა-
ბინეტური „გამომხვევლები“!
„სამაჰმადიანო საქართველო“ დღეს
ჩვენს ქვეყნის იმ ნაწილს ეწოდება, რო-

მელსაც ძველად სამცხე (მესხეთი),
ტაო, კლარჯეთი, აჭარა და ჭანეთი შე-
ადგენდა, ე. ი. დღევანდელი ახალციხის
მაზრა, ბათუმის ოლქი და ყარსის ოლ-
ქისა და ტრაპიზონის ვილაიეთის ნაწი-
ლები.
ამ საქმად ვრცელს მიწა-წყალზე უკვე
მეექვსე და მეათე საუკუნეში ქრისტეს
წინ მკვიდრად ცხოვრობდნენ ქართვე-
ლი მოდგმის შემდეგი მთავარი ტომები:
მესხები, ფაზანები, ტაოხები, კლარჯე-
ბი, მოსინელები ანუ ქანები (იგივე ლა-
ხები), ტიბარნიები, ხალდეები ანუ ხალი-
ბები და კოლხთა და ივერთა მცირეო-
დენი ნაწილი.
ამ ტომთა უშუქველესი კულტურა ფრი-
ად ცნობილია, განსაკუთრებით მეტა-
ლოგია ანუ მადნეულობის შემუშავება
მათ შორის იმდენად ყოფილა განვითარ-
ებული და სხვა ხალხთა შორის გან-
თქმული, რომ აზიისა და ევროპის მო-
წინავე ერები ზოგიერთ ლითონს დღე-
საც ამ ქვეყნის სატომო ან საფეოგრა-
ფიო სახელებით იწოდებენ: მაგალითად
თითბრის გერმანული სახელი „messine“
—მესინიკურს ანუ „მოსინეკურს“ (ე.
ი. ქანურს) მადანს აღნიშნავს, ხოლო
ბერძნული სახელი ფოლიდისა „ხალდეის“,
„ხალდეიკოს“—ხალიბურს მადანს (ხალი-
ბური რკინის) უდრის; ამგვარადვე სპარ-
სული სახელი „ბირინჯ“, რომლისაგანაც
წარმოდგარია ევროპული სახელი
„სპირინჯ“ (სპონჯა), იმავე ძირიდან
ნაწარმოებია, საიდგანაც ქართული „სპი-
რინჯი“ (—„სპირინჯი“) და ნიშნავს „სპი-
რის“ (—სპირის) მადანს. მესხები ხომ
თვით „დაბადებაშია“ მოსხენებულნი
არაიან როგორც სპონჯისა და სხვა მა-
დნეულთა მწარმოებელნი, რომელთაც
თავისი საქონელი შორეულს ტვრსა და
სიღონშიაც გაჰქონდათ გასაყიდად
(იხ. გ. 27, 13)!

როცა, წარმართობისაგან თავმო-
ბერებულს კაცობრობას ქრისტეს მო-
ციქულებმა ახალი მოძღვრება ამცნეს,
ქართველ ტომთა შორის ამ მოძღვრებას
ყველაზე ადრე ტრაპიზონის მახლობლად
(პონტსა და კაპადოკიაში) მცხოვრები
ქართველი ტომები, ე. ი. ქანები ანუ
ლახები, ხალდეები ანუ ხალიბები, ტიბა-
რნიები და იქვე მოხინადრე კოლხები
გაეცენენ. ცნობილის საეკლესიო მწერალ-
ფლოსოფოსის ორიგენის (100—258 წ.)
მოწმობით, მოციქულთა თავმა წმ. პეტრე
მომციქულმა პონტში და კაპადოკიაში
იქადაგა, ხოლო მისმა უფროსმა ძმამ
ანდრია პირველწოდებულმა, როგორც
სხვა მწერლები მოწმობენ, მთელი ქო-
რების აუზი, რომის ნაპირები და აფ-
ხაზეთი მოიარა. მოციქულთა ქადაგებამ
მახელი თვალსაჩინო ნაყოფიც გამოიღო:
უკვე მეორე საუკუნის დასაწყისში, ე. ი.
მოციქულთა ქადაგებიდან რაღაც ნახე-
ვარი საუკუნის შემდგომ, ამ რაიონის
ქართველთა შორის ეპისკოპოსები და,
ასე ვისინჯეთ, მწვალებლებიც კი მოი-
პოვებოდნენ. ასეთნი იყვნენ, მაგალითად,
პონტის ეპისკოპოსი პალმი და მისი შვი-
ლი მწვალებელი (ერტიკოსი) მარკონი,
ჩამომავლობით კოლხი დენი მკვიდრი,
როგორც მოწმობს ცნობილი საეკლესიო
მწერალი ტერტილიანი († 230 წ.).
მაგრამ ქრისტიანობის ცხოვრებისა
და სწავლა-მოდღვრების ნამდვილ კერად
ქართველთა შორის ეს მხარე მეშვედ
და მეგრე საუკუნედად გადაიქცა: ამის
უტყუარი მოწამენი არაიან მეგრე, მეცხ-
რე და მეათე საუკუნის დიდებული სამ-
წყობრო და სახუროთმოძღვრებო ნა-
შთები ამ კუთხისა. აქ საქმაო იქნება
დაგასახელოთ ისეთი ცენტრები სწავლა-
განათლებისა და მწიგნობრობისა, რო-
გორც იყვნენ პარხალის მონასტერი,
ოშქი, შატბერდი, ხანძია, იშხანი, ტბე-
თი და მრავალნი სხვანი; საქმაოა აღე-
ნიშნოთ, რომ საუკეთესო უმჯელესი ქა-
რთული ხელნაწერები სწორედ ამ კუთ-
ხეში არაიან გადაწერილნი, როგორც მა-
გალითად: ა) „შატბერდული კრებული“,
რომელიც შინაარსით ერთგვარს ენცი-
კლოპედის წარმოადგენს, რადგან აქ
ჩვენ ვხვდებით როგორც წმინდა საღე-
თისმეტყველო წერილებს, ისე საისტო-
რიაო ძველებსა და სამეცნიერო შინაარ-
სის სტატებებს მინერალოგიიდან და ზო-

ნეთურ სწავლულს ჩქარი სხდომები
ხელე ბრატარეუსი თვემდომარობით;
ირწმუნებინ, ოქტომბერში რუმინეთი
ბრძოლის ველზე გამოვა შეთანხმე-
ლებთან ერთადო.

რუსეთის დიპლომატიურ წრეებში სა-
ჭიროდ სთვლიან ბულგარეთს ომი გამო-
უცხადონ.

ბულგარებიდან იტყობინებან, საბერ-
ძნეთის ქალაქ ათინაში ხალხი მეტად
აღელვებულ მდგომარეობაშიაო. მეფის
განუცხადებია, საბერძნეთის და სერბე-
თის ხელშეკრულება აღარ არსებობსო.
ელიან აჯანყებასაო. მთავრობის მოქმე-
დება ისეთს შთაბეჭდილებას ახდენს,
თითქოს თავმოყრილი ჯარი შინაურ
მტრებისთვის ჰყავს დაბანაკებულიო.

უკანასკნელი ფოსტა

გერმანელები რიგის რაიონში.
გერმანელები რიგის რაიონში წინ იყე-
ვენ. მიტავის ქვემოლ დაიკურს სოფ-
ნიში. ასევე წინ მისწრაფვიან მთელ
ჩრდილოეთზე მიტავა-ნეიგეთის რკინის
გზის გასწვრივ. ელიან გარდაწყვიტ
ბრძოლას.

რუსეთი და ბულგარეთი.
რუსეთმა 6 ოქტომ. თარიღით ბულგა-
რეთს ომი გამოუცხადა.

ბულგარების მცხოვრები.
აესტრელიები ბულგარის მცხოვრებთ
შიდა სახელმწიფოში ასახლებენ.

მაკენების გეზი.
მაკენები ორშოვოში მოვიდა. გერმა-
ნელებმა დაიკავეს ბოლშეჩისა და დუ-
ნაის შესართავი. აქედან მორავისკენ
ილაშქრებენ.

ოსმალთა ჯარები.
ოსმალთა ჯარები ვარნაში მოვიდნენ.

რუმინეთის განცხადება.
რუმინელები აცხადებენ, რუმინეთი
მაშინ გამოვა, როდესაც რუსის ჯარები
ბულგარეთში შევლნო.

მინსკში ცეპელინები.
2 ოქტ. მინსკში ცეპელინებს მან ყუმ-
ბარა ჩამოუვლიათ.

ოქრომქედლობის სამაგალითო ნიმუშს
იძლევა: ბ) საფარისა, ზარზმისა და ქუ-
ლევის მონასტრების საეკლესიო და სა-
ისტორიო პირთა ფრესკები და მრავ-
ალნი სხვანი. ამ ფრესკების რამოდენიმე
ნიმუში მსურველთა შეუძლიან ქართულ
მუზეუმშიცა გაიცნონ.
მაგრამ აწ სამაჰმადიანო საქართველოს
ძველ მკვიდრთა კულტურული შემოქმე-
დება მარტო სარწმუნოებრივისა და სა-
ეკლესიო სფეროში არ განისაზღვრებოდა;
მათ ასეთივე მაღალი ნიჭი გამოიჩინეს
პოლიტიკურსა და სამოქალაქო ცხოვრე-
ბაში და, განსაკუთრებით, საერო პოე-
ზიაში.
საერო პოეზიიდან საქმაო იქნება მო-
ვიგონოთ ისეთი ცნობილი სახელები,
როგორიც არაიან სარგის თმოგველი და
გვირგვინი ქართულის პოეზიისა—შოთა
რუსთაველი, რომელთაგან პირველი იყო
მფლობელი თმოგვის ციხისა და მეორე—
„მესხი მოღუქი“ დაბა რუსთავიდან,
ორივე—თანამედროვენი, მოწამენი და
შემამკობელნი დიდის თამარისა და მისი
ებოქის.
მოწინავე როლი ეკუთვნოდა „სამაჰმა-
დიანო საქართველოს“ ძველად ჩვენ
ერის პოლიტიკურს ცხოვრებაშიაც. აი
ამისი დამადასტურებელი ორი ფაქტი:
ერთი საერთაშორისო ხასიათისა და
მაშინდელის საქართველოს ძალა-მნიშე-
ნილობას გვაჩვენებს, მეორე—საკუთრივე
საქართველოს შეცნება. გველისხმობთ:
ა) ტაოს მფლობელის დავით კუროპალა-
ტის მიერ 978 წელს ბიზანტიაში ბარდა
სკლეროსის აჯანყების დამშვიდებას და
ბ) 985 წელს, იმავე დავით კუროპალა-
ტისა და აფხაზ-იმერთა დიდებულებს
მეცადინეობით, საქართველოს მთავარ-
ნაწილთა პოლიტიკურად გაერთიანებას
ტაო-კლარჯეთის მეფის წულის ბაგრატ
მე-3-ის სიკატრის ქვეშ. მართალია ეს
გაერთიანება გაცილებით ადრე აფხაზეთ-
იმერეთის შეცნებამ დაიწყეს და თვით
ბაგრატ მე-3-იც, როგორც ერთადერთი
იმეკვიდრე იმერეთის უკანასკნელი მეფე-
ბისა (მათი დისწული), პირველად აფხა-
ზეთ-იმერეთში გამეფდა (980 წლის მან-
ლობა) და მხოლოდ შემდეგ თანდა-
თან მიიღო (985 წლიდან) საქართველოს
დინარჩენი ნაწილების მეფობა, მაგრამ
ეს ისე ადვილად ვერ მოხდებოდა, უქმ-
თუ საამისოდ ნიდაგი კარგად არ ყო-

1) იხ. ივ. ჯავახიშვილის „ქართველ ერის ისტორია“ წ. I.



შტაბის დეკრეტები

პეტროგრადი, 6 ოქტომბერი. უმაღლესი მანფესტო ბულგარეთთან — ომის გამოცხადების შესახებ.

წყალობითა ღვთისათა ჩვენ, ნიკოლოზ მეორე, იმპერატორი და თვითმკრობე-ლი მთელი რუსეთისა, მეფე პოლონეთისა, დიდი მთავარი ფინლიანდიისა და სხვათა და სხვათა, ვუცხადებთ ყველა ჩვენს ერთგულთ, რომ მთელი ომის გან-სახლებაში გვირგვინად მომზადებული ბულგარეთის ლაღობა, რომელიც მაინც არ გვეცხადება, საბოლოოდ ახლა გამოირკვა. ბულგარეთის ჯარები უძლიერეს მტერთან ბრძოლაში სისხლ დაცლილ ჩვენს მოკავ-შირე სერბთა დეცა თავზე. რუსეთი და ჩვენთან მოკავშირე სახელმწიფოები ფერ-ნიანდის მთავრობას აფრთხილებდა ეს საბედისწერო ნაბიჯი არ გადაეცა მას. ბულგარეთი ზრახვა მაკელანის ხელში ასაგდებად აღთქმული იყო, რომ შესა-ღებელი იქნებოდა, მაგრამ ისე, რომ დღევანდის ზოგადი ინტერესი არ დარ-ღვეულიყო. მაგრამ გერმანელთა მიერ ერთხელვე ზეშთაგონებული შუღლი და მის სისხლის დამღვრელი შურისძიება ირბელთა წინააღმდეგ აღებათა ყველა ყველს მეცადინეობას. ერთმორწმუნე ბულგარეთი, რომელიც ძმური სათნო-სუფარობით ამ ახლო წარსულში გან-დავისუფლებულ იქნა რუსის ხალხის ასილთ ოსმალთა უღლიდან, დღეს მაგარად აღზღა კლავიანობისა და რუ-სეთის საწინააღმდეგოდ დ მხარი მისცა ჩრისტეს რჯულის მტრებს. მწუხარებით ვხვდებთ რუსის ხალხს ამ გამცემლო-ის ამბავს და ნაღვლით დაზიდული ომბრთავს მოლოატე ბულგარეთის წი-აღმდეგ თავის მახლობს. ბედსა მიენ-ღი ღვთისისხვა და მისი სამართალი ღვთიანობის მტრის განსასჯელად.

გამოცემულია სამეფო სადგომიდან 5 ოქტომბერს, ჩვენი მეფობის მეოცდღე-რე დღეს.

საკუთარ ხელს აწერს მათი იმპერა-ტორობითი უდიდებულესობა:
ნიკოლოზი.

პეტროგრადი, 6 ოქტ. ოფიციალი.
სახელმწიფო ფრონტი. რიგის რაიონში

თითქმის მთელ ფრონტის გასწვრივ სასტიკი ბრძოლა დაიწყო. მდ. ააზე, მიტავის ქვემოლ, გერმანელებმა აიღეს ნიში. მიტავის შოსხს რაიონში, მიტა-ვის ჩრდილო-აღმოსავლეთით მძაფრი ბრძოლაა. საარტილერია ცეცხლი შე-სამჩნევად გაძლიერდა. მიტავა-ნეიგუ-თის რაიონის გზაზე, ჩრდილოეთ ტყის რაიონში, გერმანელებმა წინ წაიწიეს. ყველაგან აქ სასტიკი ბრძოლაა. გერმა-ნელთა არტილერიის ცეცხლი გაძლი-ერდა გუშინ ელიზენ ჰოფ-ტემულის რაიონის გზაზე, ფრიდრიხშტადტის ჩრდი-ლო-დასავლეთით, რუსის „ილია მუ-რამცევმა“ გარბ-ეკაუ-ნეიგუთის ხაზ-ზე 50 ყუშმარამდე ჩამოგდო. სოფ. დუქრანის რაიონში, იაკობშტადტის სამხრეთით, რამდენიმე შეჯახება მოუ-ხდათ რუსებს. დვინსკის რაიონში საარტილერია ბრძოლა. ადგილ-ადგილ-სრულა უმძაფრეს ხახათს იღებს. დე-მენ-დრისვიატის ტბების ფრონტზე და ქვემოლ პრიპიატზე მდგომარეობა უც-ვლელია. გუშინ შუა სტირზე გამარ-ჯვება ფრიალ განავითარეს რუსებმა. ზალიანდთან რუსებმა ტყვეები წა-მოიყვანეს. დავლად დარჩენი ტყვის-მჭრქვევლები. ქალაქი ჩარატორისკი რუსებმა შეცრივი შეტევით აიღეს. ერთ ფრთაზე რუსებმა წამოიყვანეს 700 გერმანელი. ამის გარდა დავლად დარჩათ 9 ზარბაზანი და ყუშმარის მჭრქვევლები. აქ გერმანელებმა სას-ტიკი და აღმოსავლეთით წინააღმდე-გობა გაუწიეს რუსებს „დუმდუმის“ ხმარებით. რუსებმა თითქმის ყველაწი ხეშტებით გაანადგურეს. ნოვოხვლთან რუსებმა ავსტრო-გერმანელები ვაშვან-ტეს რის შემდეგაც აიღეს სოფ. ბოდ-კუ და რუდნიუ. დანატებით ცნობე-ლით გამოირკვა, რომ გუშინ ნოვო-ხვლთან რუსებმა ტყვედ წამოიყვანათ 2 გერმანელი პოლი. სისხლისმღვრ-ლი ბრძოლა მოხდა სოფ. კომაროვთან და ვალენთან, სტირის მარცხენა ნა-პირზე. საზოგადოდ რუსები ბოლო დღეს აქვე მხარეს იმარჯვებენ, წა-მოიყვანოთ მკაცრ 50 ოფიცერი, 1900 ჯარისკაცი, 6 ტყვისმჭრქვეველი და

არ მივეყვებოდა და არ გამოვაბრუნეთ, შეიძლება ხელიდან სამუდამოდ გამო-გვეცალკოს.

ახლა ვიკითხოთ: რა დროიდან დაი-წყო ის რთული ისტორიული პროცესი, რომელმაც სამცხე-საათაბაგოს მკვიდრი ქართველობა დღევანდელ მდგომარეო-ბამდე მიიყვანა? ვამბობთ „რთული ის-ტორიული პროცესი“, რადგან, როგორც ქვემოლ დავინახეთ, აქ საქმე სრულე-ბითაც ისე მარტივად არ მოხდარა, რო-გორც უმეტესობას მბლონურადა აქვს წარმოდგენილი: „მამპლიანობა მოსპო ქრისტიანობა და ამის მოჰყვა ხალხის ყოველმხრივი გადაგვარება“.

მაგრამ ვინც ასე მსჯელობს, არავითარ წარმოდგენა არა აქვს არც მამპლი-ანობაზე საზოგადოდ და არც ქართველი ერის წარსულ ისტორიაზე კერძოდ. სარ-თლაც, თუ აქ მამპლიანობა რაიმე შუა-ში იყო, რატომ არაბოთა თითქმის ოთხას-წლოვანი მფლობელობის დროს (მე-7—10 საუკ.) არ მოისპო ქრისტიანობა ქარ-თველთა შორის? ან კიდევ, მე-15—8-ე საუკუნეში აღმოსავლეთის საქართველო-საც ხომ მულად გვერდში ჰყავდა და მე-16-ე საუკუნიდან კიდევაც ჰვლბოდა სამამპლიანო სპარსეთი, და რატომ მო-ხდა ისე, რომ იმავე საუკუნეებში სამცხე-საათაბაგო და ქანეთი გადაგვარდა, ქართლ-კახეთი კი არა? პირიქით: არაბო-თა მფლობელობის დროს ქართულმა კულტურამ ბევრი რამ ახალი შეიძინა განათლებულ არაბთაგან, მაგალითად მედიცინასა და მათემატიკაში; ხოლო მე-16—18-ე საუკუნის ქართული მწერ-ლობის რენესანსი, როგორც მოგვხსენე-ბათ, პირდაპირ სპარსეთის კულტურის გავლენასთანაა მკიდროდ შეკავშირებულ-ლი. მაშასადამე, როგორც სჩანს, მეზო-ბელთა მამპლიანობა თავის-თვად აქ არავერს შუაშია; ამას გარდა, ისიც ხომ ახსნას საქიროებს, თუ როგორ მოხდა, რომ სამცხე-საათაბაგოში მამპლიანობამ გამარჯვა, საქართველის დანარჩენი კუ-სხეებში კი ვერა? მამპლიანობა—თავის თავად ხომ ყველაგან მამპლიანობაა... სჩანს, სამხრეთის ქართველთა კულტურ-ულად დაცემის ძირითადი მიზეზები მამპლიანობის გარეშე უნდა ვიძებნოთ.

და მართლაც, რამდენადაც საქმეს უფრო ღრმად ჩაუყვირებდეთ, იმდენად უფრო ნათლად დავინახავთ, რომ სამც-

ხე-საათაბაგოში მამპლიანობამ გაიმარ-ჯვა არა იმიტომ, რომ იგი „მამპლია-ნობა“ იყო, ადგილობრივი მკვიდრი კი ქრისტიანები იყვნენ, არამედ იმიტომ, რომ მამპლიან-ოსმალთა ძლევამოსილო-ბას აქ დაუხვდა შინაურის განხეთქილე-ბით და ფეოდალური განცალკევებით დასუსტებული პოლიტიკური ორგანიზმი, რომელმაც ვერ უძსლო ოსმალს გამ-კლავებოდა, პირიქით, ფეოდალურის ცენტრალურ ტენდენციებით გამ-სჭვალული, სამცხე-საათაბაგო ზოგჯერ თვით მიმართავდა ხოლმე იმავე ოსმა-ლებს ქართველის მეფობის წინააღმდე-გ, რომელიც, თუ ყოველთვის ვერა, ზო-გჯერ შემთხვევაში მინც ფრიალ ღირ-სეული მატარებელნი იყვნენ საქართვე-ლოსპოლიტიკურის ერთობის იდეისა და, შედგობისადაგვარად, კიდევაც ემსა-ხურებოდნენ ამ იდეას. საქართველოს ფეოდალური დაქაქვა კი ბევრად უფ-რო ადრე დაიწყო, ვაცოლებით უფრო ადრე, ვინემ ქართველები ოსმალებს გა-ენცნობოდნენ. ოსმალებს გამარჯვებამ საქრისტიანობ ბიზანტიკაში (1453 წელს) და მათმა ცბიერმა პოლიტიკამ სამცხე-საათაბაგოში მხოლოდ დააქარა ამ უკანასკნელის განცალკევების პროცესი საქართველოს დანარჩენი ნაწილებსა-გან. და სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ დანარჩენს ნაწილებს იმდენი ძალა არ შესწევდათ, რომ ეს პროცესი შეე-ჩერებინათ, სეპარატისმის დღემართზე დამდგარი პროვინციები შეემარჯებინათ და შეენარჩუნებინათ. პირიქით, სრუ-ლიად საქართველოს უკანასკნელი მეფის ალექსანდრე პირველის აქტი (1442 წ.), რომელმაც წინ უსწრო ოსმალთა მიერ ბიზანტიის დაპყრობას, ამგვარს სეპარა-ტიკისმ და დანაწილებას თითქმის ერთ-გვარი უზენაესი სანქცია კი ჰქონდა მინიჭებული: ალექსანდრე პირველის მიერ სამ სამეფოდ გაყოფილი ფეოდალური საქართველო მე-15-ე საუკუნის დაბლე-ვამდე უკვე რვა დამოუკიდებელ პოლი-ტიკურ ერთეულად დაქუქმაცდა, და-

ახალი აგვანი

როგორც გვატყობინებენ, გაზეთ „საქართველო“-ს ნომრები ბევრ ადგი-ლას დანიშნულებებისამებრ არ მისდით. ბევრმა ის ამბავიც მოგვცანა, რომ გაზეთი გაუხსნიათ, წაუკითხნიათ გარე-შე პირებს და ერთი კვირის შემდეგ ხელის მოშერლისთვის ჩაუბარებიათ იმ გაზეთებს, რომელსაც დაქრილ ჯა-რისკაცებს ვუგზავნით, უფროსები თვით კითხულობენ და დაქრილამდე ვერ აღწევენ.

რედაქცია საყურადღებოდ აცხადებს, რომ ყოველ ხელის მოშერს ყოველ-დღე ეგზავნება გაზეთი, უკეთუ რომე-ლიმე ხელის მოშერნი არ იღებს ადგი-ლობრივ უნდა ეძებონ მიზეზი მიუ-ღებლობისა.

ფულით განაწილება. ვეა-ფშავე-ლას დასაქრძალად შემოსულ ფულიდან ხარჯებს ვადაჩია 1,200 მანეთადმე, დამ-კრძალავმა კომიტეტმა დაადგინა, რომ ამ ფულის 2/3 მოხმარებოდა ვაქს შეი-ლების აღზრდას, ხოლო 1/3 სალიტერა-ტურო ფონდს მიმატებოდა და ფული ვადაჩია წ.-კითხვის საზოგადოების გამ-გეობას. ამ უკანასკნელმა ფულის შემომ-წირველ დაწესებულებათა წარმომადგენ-ლები მოიწვია ხელახალ სათათბიროდ იმის შესახებ, თუ რა საქმეს მოხმარებო-და დარჩენილი ფული. დანიშნულ დღეს (30 სექტემბერს) თათბირი არ შესდგა და ამის გამო წ.-კითხვის საზოგადოების გამგეობამ 6 ოქტომბერს ვადაჩივეტა, რომ დარჩენილი 1,200 მანეთი განაწილ-დეს დაქრძალავ კომიტეტის დადგენი-ლებს თანახმად.

ქართულ კულტურის მოყვარულ-თა საზოგადობა. ხელო საარტიტო სა-ზოგადოების დარბაზში გამართავს დღეს საღამოს კ. ბალმონტის პატივსაცემად. კ. ბალმონტის გარდა, მონაწილეობას მიიღებენ გრ. რობაკიძე (მონაწილება) ა. ი. ყანჩელი (წაკითხავს კ. ბალმონტის

მეორ ნათარგმ „ვეფხისტყაოსნის“ ჯერ წაუკითხავ ადგილებს). ა. იმედა-შვილი წაკითხავს „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთ ადგილებს (ქართულად). ახალ-ვახრდა მეოსნები: ა. აბაშელი, ბ. ახის-პირელი, ი. გრიშაშვილი, ალ. შანშია-შვილი და გ. ქუჩიშვილი წაკითხავენ თავიანთი ლექსებს. მის. კავსადის გუნდი და მესტიერე შეასრულებენ ქართულ ეროვნულ ჰანგებს. ბილეთების მიღება შეიძლება ჩვენს რედაქციაში მხოლოდ დღეს და ხელ 12-დან ნაშუადღევს 3 საათამდე. ბილეთების დაკვეთა ვინ-სახლეურულია. ბილეთების დაკვეთა შეი-ძლება ტელეფონითაც 17—00.

წერა-კითხვის საზოგადოება. 6 ოქტომბერს კრება ჰქონდა ქ. შ. წ.-კ. საზოგადოების გამგეობა, რომელმაც დაადგინა, წლიური საერთო კრება სა-ზოგადოების წერილთა დაინიშნოს 21 ნო-ემბერს და მას განსახილველად წარუდ-გინოს მოხსენება საზოგადოების 35 წლის იუბილეს ვადაჩის შესახებ.

კრება. დღეს, საღამოს 8 საათზე, ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგა-დოების საბჭოს კრება ექნება, რომელ-მაც ინტენიერ ს. მ. როსტოვესკი მო-ხსენებას წაკითხავს ინტენიერ ფ. 3. მორ-გუნტკის მიერ გამოგონილ თვითმკქედ წყალსადენის შესახებ, რომელსაც სოფ-ლის მეურნეობაში დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

მოწოდება. ქ. შ. წ.-კ. საზოგა-დოების გამგეობამ მოწოდება დაუგზავ-ნა ქართველ დაწესებულებათ, რომ წვე-რად ჩაეწერნენ ახლად დამტკიცებულ კულტურულ-განმანათლებელ საზოგა-დოებათა კავშირში.

ბაქოს ქალაქის თვითმართველობამ შუამდგომლობა აღძრა ქალაქის კავში-რის კავშირის ბიუროს წინაშე, რომ იმ 400 ჯარის კაცთა საწოლის ხარ-ჯი, რომელთაც აქამდე ის ინახავდა, ამის შემდეგ ქალაქთა კავშირმა იკისროს, ვინაიდან სხვა და სხვა პატივსაცემე მი-ზეზთა გამო ბაქოს არ ძალუძს შემდეგ-შიაც გასწიოს ეს ხარჯი. ბიურომ ბაქოს თხოვნა შესაწყარებლად ცნო და დად-გინა: კავსადის დანარჩენ ქალაქების მიერ განართლი საწოლების შენახვაც დაეკის-როს ამის შემდეგ ქალაქთა კავშირს,

რის შესახებ ბიუროს წინააღმდეგ-გომლობას აღძრავს. კავსადის მთავარ კომიტეტის წინაშე.

კახეთის ვენახების დათვალიე-რება. ქართულ სასოფლო სამეურნეო სა-ზოგადოებისა და მევენახეობა-მეღვინეო-ბის კომიტეტის მდივანი ვ. ი. რცხლაძე კახეთს იყო წასული ვენახების და სანე-რგვეთის დასათვლიერებლად. ის უკვე დაბრუნდა თბილისს და ვეიამბო, რომ ღვინის მოსავალი კახეთში ჩვეულებრივ მოსავლის 5/6-ს არ აღემატება და ღვი-ნოც ცუდი ღირსების არის. ღვინის ფასი მულად დღე ბატულობს. დიდძალი ნაწი-ლი ახალი მოსავლისა უკვე დაბეჭეულია სირაჯების მიერ.

თბილისის კოპერატივის გამგე-ობამ 6 ოქტომბერს განიხილა წინადა-დება ტყის იჯარით აღების შესახებ შე-შის მოსაქრელად და წინადადება შე-წყნარებულ იქნა. გამგეობის ანგარიშით ერთი საყენი შეშა, დამუშავებით, ჩამო-ტანით, იჯარისა და სხვა ხარჯების გას-ტუმრებით, დაჯდება თბილისში 48—50 მანეთი. გამგეობა ეხლავე შეუდგება მუ-შაობას და იმედი აქვს, რომ წლის დამ-ლევს შეშა ექნება თბილისში.

კოპერატივი თავის საეკპრო სახლს აიღეს 10 ოქტომბერს ოლას ქუჩაზე, მელქ-აზარიანის შენობაში. საქონელს არაწვერთაც მიჰყიდის, გარდა შაქრისა, რომელიც მხოლოდ წვერებს მიეცემა, მაგრამ თითო წვერს არა უმეტეს 10 გირვანქისა.

ფქვილის და პურის ნიხრი. ქა-ლაქის თვითმართველობის სამეურნეო კომისიამ უკანასკნელ თავის სხდომამზე დაადგინა, რომ თითო ტომარა ფქვილს (5 ფუთი) ფასი მომატებოდა თოთხმეტი შაური და ეს თავისი დადგენილება ქა-ლაქის გამგეობას ვადაჩია საბჭოსათვის წარსადგენად. გამგეობამ მსჯელობა იქო-ნია კომისიის დადგენილების გამო, და რახან დადგენილება იგი, თუ შეწყნარე-ბულ იქნა, გამომცხარ პურის ფასსაც ასწევს, ამიტომ არ მოიწონა. დღეს ქა-ლაქის საბჭო დადგენილებას განიხილავს (კომისიისა და გამგეობისას) და თავის საკუთარ განაჩენს გამოიტანს.

ცხლისა და მიხვილის“ ამართავს აქ ე-დენად ადგილი არა ჰქონია, რამდენადაც პოლიტიკურის ურჩობისა და მოლოდა-ტეობის წინააღმდეგ მიღებულ სადმი-ნისტრაციო ზომებს, მექარას, სასჯელ-სა და დაპირებას. ერთად-ერთი საშუა-ლება იყო, რომელთაც შეიძლებოდა მთავრობის წინაშე დანაშაულობის გა-მოსყიდვა, სახელმძღვრ—რჯულის გამო-ცვლა. და აწ მამპლიან ქართველთა წი-ნარებმაც, როგორც სჩანს, ფართოდ ისარგებლეს ამ საშუალებით: დაიწყო სამცხე-საათაბაგოელთა მასსიური მიქ-ცევა მამპლიან რჯულზე, ქრისტიანობა თან და თან შესუსტდა, შეიკრდა და ბოლოს სურლიად მოისპო; საეპისკოპო-სო კათედრები დაიხურა, ტაძარ-მონას-ტრები დატუქდა, მოუვლელი დარჩა და, მომეტებულ შემთხვევაში, ნანგრევებად იქცა; კულტურულად ჩამორჩენილ ოსმა-ლოთაგან ადგილობრივმა მკვიდრმა სა-ნაცკლო ვერაფერი მიიღო, გონებით და-ბეჩავდა და სინეულში ჩაეფლო; ამას ზედ დაერთო თვით ქრისტიან ქართვე-ლთა უადგილო ფანტოზი და შეუთეე-ბლობა გამამპლიანებულ თანამომეთა მიმართ, რომელთაც „ქართველის“ სახე-ლის ღირსდაც კი აღარა სთვლიდნენ, რასაც დაინტერესებულ სახელმწიფოთა მთავრობანიც სიამოვნებით კვირს უკ-რავენდნ, და რასაც შედეგად მოჰყვა ის, რომ მამპლიან ქართველთა დიდი ნაწილი დღეს თავის თავს ქართველად არა სცნობს, ოსმალთა იწოდება, დედა-ენა აღარ ესმის და ზენ-ჩვეულებითაც სრულად გადაგვარების გზაზე დამდგარ-

ასეთია მოკლე და თან მწარე ისტო-რია საქართველოს საუკეთესო ნაწილის დაცემისა და გადაგვარებისა. მოკლეა იგი, მაგრამ აღსაცევა მრავალგვარის სა-გულსხმო ვაკეთილით; მწარეა იგი, მა-გრამ—სიტკობების მომცემისა, როცა ამ კუთხის შორეულს წარსულს მოვიგო-ნებთ. მაშ, ნუ შეგზინდებთ და ნუ და-ვეცემით სულით: თამამად მივიღოთ ეს სიმწარე და მისგან გამომდინარე ვაკვე-თილებთ, რათა მომავალში მინც ველი-როსთ იმ სიტკობებს, რომელსაც ამ კუთხის ნიჭიერი მკვიდრი ჩვენს შო-რეულ წინაპრებს განაცდივინებდნენ!

ბ. გორგაძე.

ბიუროს წინააღმდეგ-გომლობას აღძრავს. კავსადის მთავარ კომიტეტის წინაშე.

3) სამეფოში: ქართლისა, კახეთისა და იმერეთისა; სამთავროები: სამცხე-საათა-ბაგო, გურია, სამეგრელო, სვანეთი და აფხაზეთი. საყურადღებოა რომ ხუთივე სამთავრო იმერეთის სამეფოთაერთს ოს-მალეთის ხელში გადადის.

